დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მაგისტრატურის საგანმამათლებლო პროგრამა

„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

12. 09. 2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ნინო

გვარი დონდოლაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი Master of Oil and Gas Technology
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	სამთო საქმე და მოპოვება 0724
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.07.2021. გადაწყვეტილება № 714546
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 1 ივლისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი - 2022 წლის 1 ივლისი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2032

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის და კვლევითი უნარების სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნას თანამედროვე და მათ შორის ინგლისურენოვანი ლიტერატურ.
4. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ასევე მათ ცნობიერების ამაღლებას აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით.
5. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.
6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.
7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
8. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდება სადოქტორო პროგრამა „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის № 714557 გადაწყვეტილების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების მაგისტრატურის პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით მიენიჭა. მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 1 წელი. რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 7 წევრისგან:

• ნათელა მაისურაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

• თეიმურაზ ბარაბაძე - პროფესორი, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

• ნანი ხუნდაძე - პროფესორი;

• ნიაზ ჯიქია - პროფესორი;

• გიორგი დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

• ვალერი ხითარიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

• შალვა კელეპტრიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი. სამუშაო ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილეს თითოეული მათგანი, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. შესაბამისი ცვლილებები მოცემულია „რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ“ ცხრილის აღწერით ნაწილში.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო
2. სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ ყოფილიყო წინაპირობა სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“.
3. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უფრო კონრეტულად და მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდგომ, უნივერსიტეტში ჩასაბარებელი შიდა გამოცდები და ამ გამოცდების შედეგების მინიმალური ზღვარი, რომელთა გადალახვის შემთხვევაში, კანდიდატი მოიპოვებს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსს.
4. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო მასალების განახლება თანამედროვე, მათ შორის, უცხო ენოვანი ლიტერატურით.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

5. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებასა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის განხორციელდეს უფრო ინტენსიური კომუნიკაცია და შეთანხმების მიღწევა, რათა კველევითი კომპონენტის შესრულების მიზნებისათვის, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ორგანიზაციებში დაცული მასალების გამოყენებისა. მაგალითად, მემორანდუმებში თანამშრომლობის ამ კომპონენტის უფრო მეტად დაკონკრეტება, ზუსტ პირობებზე შეთანხმება, თუ რა ტიპის ინფორმაციაზე მისცემენ დაშვებას სტუდენტებს და ა.შ. /პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით.
6. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალი-ზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში;
7. საჭიროა დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის (მაგალითად კონსულტაციები) პროცედურები, დაზუსტდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დადგინდეს ერთ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების რიცხვი.
8. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
9. დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე, მათ შორის, უცხოენოვან ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.
10. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უზრუნველყოს სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის დაწესებულების ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.
11. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
12. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
13. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების
14. განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
15. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

16. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება 5 ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.
17. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის № 714557 გადაწყვეტილებით მიღებული რჩევების გათვალისწინების საჭიროება, რომელთა რეკომენდაციებთან ერთობლიობაში შესრულება ცალსახად პოზიტიურად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. ამასთან, წარმოდგენილი რჩევების შერულების პროცესი დაიწყო მყისიერად და მიმდინარეობს გეგმიური შედეგებით, რაც საანგარიშო ერთწლიან პროცესში ვერ დასრულდება. გარდა ამისა, რეკომენდაციებისა და რჩევების შინაარსის ურთიერთმიმართება, რიგ შემთხვევებში არის მჭიდრო კავშირში და რეკომენდაციის შესრულება პირდაპირპროპორციულად აისახება კონკრეტული „რჩევის“ შესრულების ხარისხზე.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

სტანდარტის დასახელება[12]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამის სწავლის შედეგების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. სწავლის შედეგების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დარგის წარმომადგენლებთან შეხვედრისას (იხ. დეპარტამენტის სხდომის ოქმი), მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასწავლო კურსში „ჰორიზონტალური ჭაბურღილების ექსპლუატაცია“ ჩაემატა საკითხი, რომელიც ეხება სიახლეებს საბადოს დამუშავებაში. კერძოდ, დამამთავრებელ სტადიაზე ელექტროცენტრიდანული ტუმბოთი მომუშავე გაწყლიანებული ჰორიზონტალური ჭაბურღილების ლულის დრენაჟის ფართობიდან ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით სატუმბ-საკომპრესორო მილების ჩაშვებას ჰორიზონტალური ფილტრის ბოლოში. აღნიშნული მიდგომა ამცირებს წყლის შემოსვლას ჰორიზონტალურ ლულაში და ზრდის ფილტრის ბოლო უბნიდან ნავთობის შემოდინებას.
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ;

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	2. „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის“ 2022 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმი № 5 (დანართი 2); 3. სასწავლო კურსის „ჰორიზონტალური ჭაბურღილების ექსპლუატაცია“ სილაბუსი (დანართი 3);

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის და კვლევითი უნარების სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.
შეფასება	
რჩევა[17] II	
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია აკადემიური წერის და კვლევითი უნარების სტანდარტების სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კომპონენტთა შორის გათვალისწინების შესახებ, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები. მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.
მტკიცებულებ(ები)ა	4. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	შესახებ; 5. სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ სილაბუსი; 6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“, პროგრამის სწავლის შედეგი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1);

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია III[18]	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, გამოყენებული იქნას თანამედროვე და მათ შორის ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას თანამედროვე და მათ შორის ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით სამთო - გეოლოგიურ ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ეტაპზე დეპარტამენტში მკაცრად მიექცა ყურადღება ნაშრომების კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირების საკითხის, დარგის და განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა. სტუ - ს ბიბლიოთეკა მდიდარია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით და ელექტრონული რესურსებით. ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მსოფლიოში ცნობილი აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. აღნიშნული რესურსები საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს გაეცნონ დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებს და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოიყენონ შესაბამისი უახლესი ლიტერატურული წყაროები.
რჩევა[19] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. https://gtu.ge/Library/ 3. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2021 წლის 9 ივლისის სხდომის ოქმი № 5 (დანართი 5); 4. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია IV[20]	აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ასევე

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მათ ცნობიერების ამაღლებას აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ სტუდენტებში ცნობადობის ამაღლების, მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების, პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტთა ინფორმირების, ასევე აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით მათ ცნობიერების ამაღლების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-0504/133 დადგენილებით მიღებულია მაგისტრატურის შესახებ დებულების განახლებული რედაქცია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა მაგისტრანტების მიერ სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას (მაგისტრატურის დებულება, დანართი 3. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია: პარაგრაფი 1.1, მუხლი 10; პარაგრაფი 1.4). აღნიშნული დებულება დანართებითურთ განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია საჭირო ინფორმაცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამთო - გეოლოგიურ ფაკულტეტთან შეიქმნა სამთო - გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი (დანართი 8), რომელის დებულებაშიც (შემუშავებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოქმი #2, 2021 წლის 8 ნოემბერს და წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2022 წლის 16 მარტს #01-06-02/06 დადგენილებით) ცენტრის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალში

	ნათლადაა აღნიშნული, რომ ცენტრის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა: 1. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის სამთო - გეოლოგიურ დარგში არსებული კომპიუტერული პროგრამების შესწავლის უზრუნველყოფა; 2. სამაგისტრო ნაშრომებში არსებული კვლევებისა და მეცნიერული სიახლეების თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით მხარდაჭერა; 3. იმიტირებული კვლევებისა და წამახალისებელი პროექტების ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ ცენტრიც თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს გაფორმოს სამაგისტრო ნაშრომი მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს დამატებით ეძლევათ შესაბამისი ინფორმაცია ფაკულტეტზე გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე და შესაბამის დეპარტამენტებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების მიერ. გაფორმების ერთიანი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან სამაგისტრო ნაშრომების შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
რჩევა[21] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია დანართი 6. 3. სტუ-ს სამთო გეოლოგიურ ფაკულტეტთან არსებული სამთო - გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი (დანართი 8);

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია V[22]	დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია დაწესებულების მიერ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტის გათვალისწინების შესახებ, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს. წარმოგდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სტუ-ში 2021 წლის აგვისტოში ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, სადაც საკონკურსო პირობებში განისაზღვრა სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა,ბრომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს. კერძოდ, პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 3 მაგისტრანტს, ხოლო ასოცირებულ პროფესორს და ასისტენტ პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 2 მაგისტრანტს.
რჩევა[23] V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად სტუ-ში გამოცხადებული კონკურსი - „აკადემიური

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	პერსონალის საკონსურსო პირობები“ (დანართი 7);

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია VI[24]	რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესშითანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა. კომპანია RMG-ს ხელშეწყობით ფაკულტეტზე შეიქმნა და აღიჭურვა სამთო - გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი. იგი სრულიად ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მულტიფუნქციური საგანმანათლებლო პლატფორმაა. ცენტრში ეტაპობრივად დაინერგება ისეთი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები, როგორიც არის AutoCAD, Surpac, ArcGis, Riscan Pro, Datamine, Leapfrog, Agisoft, 3D Reshaper, Leica Geo Office, Global Mapper და სხვა. ცენტრი „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებას მაღალ ტექნოლოგიურ ბაზაზე იმუშაონ საკურსო და სამაგისტრო ნაშრომებზე, ასევე მძლავრი პროგრამული მხარდაჭერის ბაზით ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, ვორკშოფებში, სემინარებსა და ვებინარებში.
რჩევა[25] VI	

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N 01-0602/06 16 მარტი 20022 წ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. სტუ - ს სამთო - გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრის დებულება (დანართი 8);

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია VII[26]	რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად წარმოდგენის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა. მოიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ მასალებში პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად მოცემული, სადაც მონაცემები მიღებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი თანხიდან და დაანგარიშებულია პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. ბიუჯეტში მოყვანილია პროგრამის განხორციელები-სათვის საჭირო დამატებითი ხარჯები, საუნივერსტიტეტო ადმინისტრირების ხარჯი,

[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კომუნალური გადასახადები, ქონების, მიწის გადასახდელების მოსაკრებლები. ფინანსური ანალიზის შედეგია + 6265, განვითარების ფონდი შეადგენს 20 %.
რჩევა[27] VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ბიუჯეტი (დანართი 9);

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VIII[28]	რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს (დანართი 10), რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა

[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც ნათლადაა აღწერილი მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. შიდა ხარისხის შეფასების და განვითარების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პერიოდულად ხორციელდება კვლევები სასწავლო პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებულ სეგმენტთან მიმართებაში, ეს იქნება სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელთა უმთავრესი ფუნქციაა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აწარმოოს საგანმანათლებლო რესურსების პერიოდული შეფასება (როგორც მატერიალური რესურსის: აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლიტერატურა, ინტერნეტის და კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა, ასევე ადამია-ნური რესურსის.)
რჩევა[29] VIII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. კრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ შესახებ; 2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის დადგენილება N 01-05-04/108 „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 10). 3. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების რუკა (დანართი 2); 4. პროგრამის სწავლის შედეგი (დანართი 1); 5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;

[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[30]

ექსპერტის ხელმოწერა



[30] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა